ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1480562

ნომერი: AR1250057

თარიღი : 11.09.2014

გაცემის თარიღი : 16.09.2014

გაცნობის თარიღი : 30.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მოუსა გალი პ/ნ A03048177
- გორკის 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილსის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განილვის შედეგადაც გაცნობებთ შემდეგს:
სამსახურის შესაძლებლად მიაჩნია სტიკერების გაკვრა მხოლოდ გვერდზე არსებული სტიკერების გასწვრივ, მხოლოდ ვიტრინის ზედა ნაწილში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი. გარდა ამისა: საპროექტო ფართის მესაკუთრეა შპს "ალიონი" , შესაბამისად წარმოსადგენია ფართის მესაკუთრის შპს "ალიონი"-ს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობა, სტიკერების გაკვრის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თქვენს მიერ ატვირთულია გაურკვეველი დოკუმენტი.
გაითვალისწინეთ: საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით 1 წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში, უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. შესაბამისად, ვინაიდან, სს „სილქნეტსა“ და ამხანაგობა „პლატო 2010“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღემატება ერთ წელს, საჭიროა იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხის დაზუსტების შემდგომ იქნება შესაძლებელი განაცხადის განმეორებით განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებისმიღება.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge